ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3698166

ნომერი: AR1557361

გაცემის თარიღი : 29.11.2017

გაცნობის თარიღი : 29.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ტაბახმელა ; ქალაქი თბილისი , სოფელი ტაბახმელა ;

თარიღი : 22.11.2017

დამკვეთი-განმცხადებელი
• ზურაბ კირკიტაძე პ/ნ 21001003577
• ვაჟა ფშაველას 23 ბ 18
ნომენკლატურა :

• მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
• განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

თქვენი AR1557361 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ პირველ რიგში საკითხი საჭიროებს გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანას, ვინაიდან ტერიტორიის განვითარება ხდება რადიკალურად სხვა ფუქნციით. გეგმარებით დავალებაში ცვლილების შესატანად, საჭიროა ელექტრონულ განცხადებას შეუცვალოთ ნომეკლატურა არქიტექტურის სამსახურის ვებ.გვერდზე, http://tas.ge/–ზე, შესაბამისად:

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

მოთხოვნის შინაარსში დააფიქსირეთ გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანა.

ძირითადი ხარვეზები;

- სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, ვერ მოხდება შერჩეული სახეობებით (სასტუმრო კომპლექსი, კვების ობიექტი, მარკეტი და აფთიაქი) სამშენებლოდ განვითარება. იმ შემთხვევაში, თუ გსურთ აღნიშნული ფუნქციებით/სახეობებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება, საჭიროა შეიცვალოს მიწის ნაკვეთის დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეოთი.

- იმ შემთხვევაში, თუ კორექტირებული განაშენიანების რეგულირებით იცვლება საპროექტო ტერიტორიაზე გაცემული მშენებლობის ნებართვები, განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის შეთანხმების შემდგომ, საჭირო იქნება გაცემული მშენებლობის ნებართვების კორექტირება.

დანართის სახით გიგზავნით გრგ გეგმარებითი დავალების ალბომის შემადგენლობას. გთხოვთ, დაგეგმვის საჭიროებიდან გამომდინარე, ალბომში ჩამოთვლილი ნახაზებიდან წარმოადგინოთ მხოლოდ ის ნაწილი, რაც გამოხატავს გდ-ში ცვლილების შინაარს და მიზნობრიობას.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.